პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის
სამინისტროსა და პროფკავშირთა საქართველოს
რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО
Орган Министерства здравоохранения ГССР
и Грузинского Республиканского Совета
профсоюзов

გამოცემის მე-10 წელი

№ 8 (705). | კვირა, 10 იანვარი, 1954 წ. | ფასი 30 კაპ.

რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის აღსანიშნავად

დეპეშა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს

ძვირფასო ამხანაგებო!

დიდ მადლობას გიძღვნით მოლოცვისათვის ჩემი დაბადების წლისთავის გამო.

ნება მიბოძეთ ვისურვო, რომ საბჭოთა ხალხმა საბჭოთა კავშირის დიადი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ახალი წარმატებანი მოიპოვოს კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში.

მაო ძე-დუნი.

1954 წლის 4 იანვარი.
პეკინი.

ფიზკულტურისა და სპორტის ახალი აღმავლობისათვის

ჩვენი გაზეთის 6 იანვრის ნომერში გამოქვეყნდა რესპუბლიკურ სპორტულ-მასობრივ ღონისძიებათა 1954 წლის კალენდარული გეგმა, რომელიც არის საქართველოს ფიზკულტურული ორგანიზაციების შემდგომი მუშაობის მრავალფეროვანი პროგრამა. ახალი კალენდარული გეგმა ხელს შეუწყობს ჩვენს რესპუბლიკაში მასობრივი ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობის შემდგომ აღმავლობას, ჩვენი დიადი კომუნისტური პარტიის 1948 წლის 27 დეკემბრის ისტორიული დადგენილების განხორციელების საქმეს.

საბჭოთა სპორტის ძალა — მის მასობრივობაშია. ჩვენი სპორტის ეს შესანიშნავი დამახასიათებელი თვისება ასახულია გამოქვეყნებულ რესპუბლიკურ ღონისძიებათა კალენდარში. ცნობილია, რომ თვითეული სპორტული ღონისძიება იწყება ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივში, შემდგომ გრძელდება სპორტულ საზოგადოებაში, რაიონში (ქალაქში), ოლქში და მთავრდება რესპუბლიკურ პირველობათა ან თასის გათამაშებით.

გასული წლის სპორტულ სეზონში ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა, სპორტულმა კოლექტივებმა და ცალკეულმა სპორტსმენებმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს. დედაქალაქის „დინამოს" კალათბურთელთა გუნდმა მოიპოვა ჩვენი ქვეყნის პირველი კოლექტივის სახელი. წარმატება ხვდათ წილად აგრეთვე თბილისის „დინამოს" და კოლმეურნე ფეხბურთელებს, რომლებმაც საკავშირო პირველობის გათამაშებაში მეორე საპრიზო ადგილები დაიკავეს; შესანიშნავი ოსტატობით თავი ისახელეს ტანვარჯიშში მ. ჯუღელმა, მოჭიდავეებმა — გ. კარტოზიამ, ვ. ბალავაძემ, ვ. გიგიაძემ, ძალოსანმა რ. ჩიმიშკიანმა, მძლეოსნებმა — ნ. დვალიშვილმა, ლ. ხანაძემ, ლ. სეხაძემ, მსროლელმა ზ. მაჩხანელმა და სხვებმა. წლის განმავლობაში ჩვენმა სპორტსმენებმა გააუმჯობესეს ბევრი საკავშირო და მსოფლიო რეკორდი.

მაგრამ ჩვენს მუშაობაში კვლავ გაგვაჩნია ნაკლოვანებები. რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციები ჯერ კიდევ მთელი ენერგიით არ იბრძვიან მასობრივ ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაშლისათვის, საბჭოთა სპორტის პროპაგანდისათვის, სპორტულ საქმიანობაში ნიჭიერი ახალგაზრდობის ფართო ფენების მიზიდვისათვის, მაღალი სპორტტექნიკური მაჩვენებლების მოპოვებისათვის. ძალზე ჩამორჩება სპორტის ისეთი სახეობანი, როგორიცაა ჭადრაკი, ცურვა, ფარიკაობა და სხვ. საკავშირო მასშტაბის ამ სახეობათა შეჯიბრებაში ჩვენი სპორტსმენები სუსტად მონაწილეობენ და დამარცხებას განიცდიან. აღსანიშნავია ისიც, რომ გასული წლის სპორტულ სეზონში ბევრმა ფიზკულტურულმა ორგანიზაციამ ვერ შეძლო ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების საზოგადოებრივი კადრების მომზადების სახელმწიფო გეგმის შესრულება, რაც ყოვლად მიუტევებელია. ცუდ მდგომარეობაშია აგრეთვე მსაჯების მომზადების, მათი კვალიფიკაციის ამაღლების საქმე.

იმისათვის, რომ 1954 წლის სპორტულ სეზონში წარმატება მოვიპოვოთ და სახახელოდ შევასრულოთ მიმდინარე წლის სპორტული კალენდარი, ფიზკულტურის ადგილობრივმა ორგანიზაციებმა, სპორტსაზოგადოებათა საბჭოებმა აქედანვე უნდა გაშალონ სისხლსავსე, შინაარსიანი საქმიანობა, უქმად არ დაკარგონ არც ერთი დღე, რესპუბლიკური კალენდარის მიხედვით შეადგინონ თავიანთი სპორტული ღონისძიებების კალენდარი, შეჯიბრებათა დებულებანი უნდა დაიყვანონ თვითეულ ფიზკულტურულ კოლექტივამდე, ყოველ სპორტსმენამდე.

აღსანიშნავია, რომ გასული წლის ზოგიერთი რესპუბლიკური მასშტაბის ღონისძიება დაბალ სპორტულ დონეზე, არაორგანიზებულად ჩატარდა, ადგილი ჰქონდა საზიანო აჩქარებასა და საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას, სუსტ მსაჯობასა და სხვ. ასეთი მდგომარეობა შეუწყნარებელია. ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა აქედანვე უნდა იზრუნონ, რათა ყოველი სპორტული ღონისძიება მოეწყოს მაღალ დონეზე, ზუსტად განისაზღვროს შეჯიბრების ჩატარების დრო და ადგილი, მსაჯთა კოლეგიის შემადგენლობა, საჭიროა დროზე გამოქვეყნდეს შეჯიბრების აფიშა, პლაკატი, რაც ხელს შეუწყობს ღონისძიებაზე მრავალრიცხოვანი მაყურებლის დასწრებას. კარგად მოწყობილი შეჯიბრება სპორტის პროპაგანდის შესანიშნავი საშუალებაა.

ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებისა და სპორტულ საზოგადოებათა საბჭოების სექციების, მსაჯთა კოლეგიების, მწვრთნელების, ფიზაღზრდის მასწავლებლების, საზოგადოებრივი ინსტრუქტორების გადაუდებელი ამოცანაა მაღალ სპორტტექნიკურ დონეზე ჩაატარონ 1954 წლის სპორტული ღონისძიებები, მათში ჩააბან რაც შეიძლება მეტი მონაწილე, იზრუნონ შეჯიბრებაში წარმატებით გამოსული ნიჭიერი სპორტსმენების შემდგომი დაოსტატებისათვის, ჩვენი მშობლიური საბჭოთა სპორტის მასობრივობისათვის. ახალი სპორტული მწვერვალების დაპყრობისათვის.

სტუმრად კოლმეურნე ფიზკულტურელებთან

კიეველ დინამოელებსა და სოფელ ზავორიჩის კოლმეურნე ფიზკულტურელებს დიდი ხნის მეგობრობა აქვთ. დინამოელები საკოლმეურნეო ძირეულ კოლექტივს სისტემატურ დახმარებას უწევენ ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადებისა და სხვადასხვა შეჯიბრების მოწყობაში.

ამას წინათ ზავორიჩელ კოლმეურნეებს სტუმრად ეწვია კიევის „დინამოს" 40 წარმომადგენელი. საკოლმეურნეო კლუბში თავი მოიყარეს კოლმეურნეებმა, მოსწავლეებმა, სოფლის ინტელიგენციამ. მაყურებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია ძალოსნების — სპორტის დამსახურებული ოსტატის გ. პოპოვის, სსრ კავშირის რეკორდსმენის, სპორტის ოსტატ პ. კირშონის გამოსვლამ.

დინამოელებმა კოლმეურნე ფიზკულტურელებს გადასცეს სამახსოვრო ალმები და 50 წყვილი თხილამური.

ი. პოდუბნის სოფელში

პოლტავშჩინის ჩერნობაისკის რაიონის სოფელ კრასენივკის კოლმეურნეები ამაყობენ იმით, რომ გამოჩენილი მოჭიდავე ივანე პოდუბნი მათ სოფელში დაიბადა.

კრასენივკის კოლმეურნეობის ფიზკულტურული კოლექტივის სპორტულ სექციებში ჩაბმულია 100-ზე მეტი ახალგაზრდა. ამას წინათ ჩატარებულ სარაიონო სპარტაკიადაში კოლმეურნეობის კოლექტივმა პირველი ადგილი მოიპოვა.

ამჟამად კოლმეურნე სპორტსმენები გაცხოველებით ემზადებიან დღესასწაულის აღსანიშნავად. მოეწყობა დიდი სპორტული საღამო, გამოშვებულ იქნება სპეციალური სპორტული კედლის გაზეთი, ჩატარდება ამხანაგური შეხვედრა მეზობელი სოფლის კოლმეურნე მოთხილამურეებთან.

მოჭადრაკეთა პირველობა

კიევში დამთავრდა უკრაინის უძლიერეს მოჭადრაკეთა რესპუბლიკური პირველობა. პირველი ადგილი და რესპუბლიკის ჩემპიონის სახელი მოიპოვა ოსტატობის კანდიდატმა 19 წლის ი. იუხტმანმა (ოდესა). ნიჭიერმა ახალგაზრდა მოჭადრაკემ ძლიერად ჩაატარა მთელი შეჯიბრება, რვა პარტია მოიგო, (აქედან ორი—ოსტატებს), ოთხი ყაიმით დაამთავრა და მხოლოდ ერთ პარტიაში განიცადა დამარცხება.

ზამთრის აუზში

სადღესასწაულოდ გამოიყურება უკრაინის სსრ დედაქალაქი კიევი. დიადი თარიღის — რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის შესახვედრად პატრიოტულად შრომობენ ფაბრიკა-ქარხნების მუშები, საკოლმეურნეო მინდვრების მუშაკები. კიევში ჩვენი თვალუწვდენი ქვეყნის ყველა კუთხიდან მოდიან ექსკურსანტები, დელეგაციები — ყველას სურს გაიზიაროს უკრაინელი ხალხის სიხარული.

მრავალი საინტერესო სპორტული ღონისძიების ჩატარებაა განზრახული დღესასწაულის დღეებში. მოეწყობა ჩვენი ქვეყნის უძლიერეს სპორტსმენთა შეხვედრები სპორტის სხვადასხვა სახეობაში პერეიასლავ-ხმელნიცკში, იქ, სადაც 300 წლის წინათ მოხდა რუსეთთან უკრაინის შეერთება, მოეწყობა გამოჩენილი სპორტსმენების საჩვენებელი გამოსვლები, სპორტული საღამოები.

ამას წინათ კიევს ეწვივნენ ჩვენი ქვეყნის წყალბურთელთა უძლიერესი კოლექტივები — მოსკოვის „დინამო" და საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის გუნდები. 4 დღეს გაგრძელდა უკრაინისა და მოსკოვის გუნდების ამხანაგური შეჯიბრება. ამ საინტერესო ღონისძიებაში მონაწილეობდნენ სტუმრები და კიევის „დინამო", „ნაუკა", „ტრუდი", ლვოვის „დინამო". შეჯიბრება დამთავრდა მოსკოველ წყალბურთელთა გამარჯვებით. განსაკუთრებით თავი ისახელეს ბ. მშვენიერაძემ, ნ. გვახარიამ, გ. ხარებოვმა, ა. შლიაპინმა და სხვ.

სურათზე: (მარცხნიდან) წყალბურთელები ს. მალინოვსკი, ნ. გვახარია, მ. რიჟაკი, ც. კარმანოვი, პ. მშვენიერაძე, კიევის გუნდის მწვრთნელი პ. საზნოვსკი და გ. ხარებოვი ბოგდან ხმელნიცკის ძეგლთან.

ფოტო ი. შაინსკისა

თბილისი—კიევი



ამ დღეებში სრულდება რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავი. მთელი საბჭოთა ხალხი მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში ახალი შრომითი აღმავლობით აღნიშნავს ღირსსახსოვარ თარიღს.

რესპუბლიკის სპორტსმენებსაც შეაქვთ თავიანთი წვლილი იუბილეს აღსანიშნავ ღონისძიებებში; თბილისელმა მოტოციკლისტებმა, რომლებმაც 1951 წელს მამაცურად განახორციელეს დიდი გადარბენა — თბილისი — კომუნიზმის დიადი მშენებლობანი — თბილისი, გადაწყვიტეს თბილისიდან კიევამდე მოტოლაშქრობის მოწყობა. ჩვენი გაზეთის თანამშრომელთან საუბარში ლაშქრობის უფროსმა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა გ. ფაჩულიამ განაცხადა:

— რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის აღსანიშნავად ქართველმა მოტოციკლისტებმა გადავწყვიტეთ მოგვეწყო მრავალდღიანი ლაშქრობა მარშრუტით: თბილისი — ქუთაისი — სუხუმი — ტუაფსე — ტამანი— ქერჩი — სიმფეროპოლი — ჯანკოი — მელიტოპოლი — დნეპროპეტროვსკი — კრემენჩუგი — ჩერკასკი — კიევი. მარშრუტის საერთო სიგრძე 2.500 კილომეტრია. აღნიშნული მანძილი უნდა დავფაროთ ათ დღეში. გადარბენაში მონაწილეობენ ცნობილი თბილისელი მოტოციკლისტები — ცალქალამანიძე, ღლონტი, ქილკინი, გალუსტიანი, აზნაუროვი, სუხიშვილი და სხვები — სულ 27 სპორტსმენი.

განზრახული გვაქვს გზადაგზა ჩავატაროთ საუბრები რუსეთთან უკრაინის შეერთების დიადი წლისთავის შესახებ. სურამში გვირგვინით შევამკობთ უკრაინელი პოეტი ქალის ლესია უკრაინკას საფლავს. მახარაძის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობასა და ჭიათურის მეშახტეებთან, რომლებიც სოციალისტურ შეჯიბრებაში არიან ჩაბმული უკრაინის სსრ გენიჩესკის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობასა და ნიკოპოლის მეშახტეებთან, დავესწრებით მიტინგებს, ხოლო მირგოროდში უკრაინელ მეგობრებთან ერთად ვინახულებთ ჩვენი საამაყო პოეტის დავით გურამიშვილის საფლავს და უკრაინელ ფიზკულტურელებს გადავცემთ სამახსოვრო დროშას წარწერით: „უკრაინის სპორტსმენებს რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავისადმი მიძღვნილი მოტოგადარბენის მონაწილე საქართველოს ფიზკულტურელებისაგან".

დღეს, დილის 10 საათზე სტარტი მიეცემა მოტოკოლონას.

• • •

რუქაზე პუნქტირებით აღნიშნულია სვლიგეზი.

ბჯენითი ხტომები

ტანვარჯიშის კლასიფიკაციის მიხედვით ხტომები ორ ჯგუფად იყოფა: ჩვეულებრივი და ბჯენითი. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება ხტომები სიმაღლეზე ადგილიდან და გამორბენით, ხტომები სიგრძეზე ადგილიდან და გამორბენით, ხტომები ბოგიდან, სხვადასხვა სიმაღლის საგნებიდან და ა. შ. მეორე ჯგუფში შემავალი ბჯენითი ხტომები შედარებით რთული შესასრულებელია. მათ შორის საყურადღებოა ხტომები ჩარხზე, ტაიჭზე, მაგიდაზე.

ტანვარჯიშულ ხტომებს ოთხ ფაზად ჰყოფენ: გამორბენი, არეკნი ერთი ან ორი ფეხით, ფრენი და დახტომა.

გამორბენი ტანვარჯიშში უზრუნველყოფს საჭირო არეკნს ტანის მოძრაობის წინ, რაც შემდგომში აუცილებელია საწყისი სიჩქარისათვის. გამორბენი ყოველ შემთხვევაში თანდათანობით უნდა მატულობდეს. მისი თავისებურება დამოკიდებულია ხტომის ხასიათზე, იარაღის მოცულობაზე, მის სიმაღლეზე. მნიშვნელოვანია აგრეთვე თვით ტანმოვარჯიშის მონაცემებიც: მაგალითად, თუ ტანმოვარჯიშეს გამომუშავებული აქვს კარგი არეკნი და სწრაფი რბენა, ამ შემთხვევაში გარბენის მანძილი შესაძლებელია შემცირდეს. თუ მას არა აქვს ზემოაღნიშნული თვისებები, მაშინ გარბენის მანძილი შედარებით უნდა გაიზარდოს. დიდი სიმაღლისა და სიგრძის გადალახვისას, გამორბენი დაახლოებით 15-20 მეტრამდე აღწევს. უბრალო ხტომების შესრულებისას კი გამორბენის მანძილი შედარებით მცირდება. განსაკუთრებული სიჩქარეა საჭირო ისეთი ხტომების შესრულებისას, როდესაც „გაფრენი" ჰაერში ხელების არეკნამდე სრულდება, ან კიდევ ხელების არეკნის შემდეგ ფრენი გრძელდება. გამორბენი სწორ ხაზზე სრულდება და მისი სიჩქარე თანდათან მატულობს, უკანასკნელი ნაბიჯები ოდნავ გაგრძელებულია. ეს შესაძლებლობას აძლევს ტანმოვარჯიშეს წინასწარი არეკნი ცალი ფეხით ენერგიულად შეასრულოს. თუ ხტომი ბოგიდან არეკნით სრულდება, ამ შემთხვევაში ცალი ფეხით არეკნის შემდეგ ხდება დახტომა ბოგის წინა ნაწილზე და შეუჩერებელი არეკნი ორივე ფეხის ცერებით ბოგიდან. წინასწარი ნახტომი ცალი ფეხით და შემდეგ არეკნი ბოგიდან დამოკიდებულია ხტომის თავისებურებაზე და მისი შესრულების ხასიათზე. მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ტანმოვარჯიშის ფიზიკურ მონაცემებს და მის ტექნიკურ მომზადებას. პრაქტიკით დადგენილია, რომ გამორბენი, გარდა უკანასკნელი ორი ნაბიჯისა, სრულდება ცერებზე, ხელების თავისუფალი მოძრაობით და ტანის წინ დახრით, ხოლო უკანასკნელი ორი ნაბიჯი ბოგზე ზუსტი დახტომისათვის უნდა შესრულდეს მთლიან ტერფზე. გამორბენის დროს არ არის სასურველი ნახტომები და ფეხთა ხშირი ცვლა. დაუშვებელია აგრეთვე რბენის ტემპის შენელება. გამორბენის მანძილის დაზუსტებისას უნდა მხედველობაში იქნეს მიღებული, რომ პირველი არეკნი ბოგის წინ სრულდება „არეკნის" ფეხით. თუ დამწყები ტანმოვარჯიშე სწავლების პროცესში შეძლებს არეკნი განუსხვავებლად ორივე ფეხით შეასრულოს, მას გაცილებით გაუადვილდება ხტომების წარმატებით დაუფლება.

თუ კი მოვარჯიშის მიერ გამორბენი და არეკნი შესრულებული იქნა დამაკმაყოფილებლად, შეიძლება ითქვას, რომ დანარჩენის შესრულება მას გაცილებით გაუადვილდება.

ბოგი, რაც ბჯენითი ხტომების იარაღების ნაწილს შეადგენს, ტანმოვარჯიშეს აძლევს საშუალებას არეკნის შემდეგ განსაზღვრული კუთხით დაიკავოს საჭირო მიმართულება და აგრეთვე განსაზღვროს არეკნის ადგილი. საყურადღებოა აგრეთვე იარაღებთან ბოგის დადგმაც, რომლის მანძილი განისაზღვრება შესასრულებელი ხტომის შესაბამისად. ბოგის იარაღთან ახლოს დადგმისას შესაძლებელია სპორტსმენი მუხლებით ან მკერდით იარაღს დაეჯახოს. წინასწარი ცალი ფეხით არეკნი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დრეკად ბოგიდან არეკნისას, სადაც გარდა ორი ფეხით არეკნისა გამოყენებულ უნდა იქნას ტანმოვარჯიშის ტანის სიმძიმეც. ბოგზე დახტომი სრულდება ოდნავ მოხრილ ფეხებზე, რაც შემდგომში ტანმოვარჯიშეს უქმნის ხელსაყრელ მდგომარეობას კარგი არეკნისათვის. ზედმეტად მოხრილი ფეხი არეკნის ძალას შეამცირებს. არეკნი ბოგიდან იწყება მასზე დახტომის მომენტიდან. მოძრაობას იწყებს ხელები, ტერფები ოდნავ ყოვნდება ბოგზე, ხოლო ტანის მოძრაობა, მუხლისა და მენჯ-ბარძაყის სახსრის გაშლასთან ერთად, გრძელდება წინ. არეკნი უმთავრესად ხდება ფეხების სახსრების სწრაფი გაშლით. ტანის სიმძიმის ცენტრი ინაცვლებს წინ და ზევით, რომლის დროსაც უმთავრესად ჩართულია „გაშლის კუნთები". ამის შემდეგ იწყება მესამე ფაზა — „გაფრენი". იგი ხტომის დაუყრდნობელი ფაზაა. იგი სრულდება ფეხებით არეკნის შემდეგ ხელებით არეკნამდე და შემდეგ დახტომამდე. ეს განსაკუთრებით ადვილი შესამჩნევია რთული ხტომების შესრულებისას. ხტომის წარმატებით შესრულება მეტწილადაა დამოკიდებული „ფრენის" კარგ შესრულებაზე. ფრენის პირველი ნაწილის შესრულებისას ტანმოვარჯიშე ოდნავ მოხრილია, ხოლო სპორტსმენის ბოლომდე გაშლა ხდება ფრენის მეორე ნაწილში — ხელებით არეკნის შემდეგ.

იარაღზე ხელებით შეხებისას ფრენით მდგომარეობაში ხელები არ უნდა დაყოვნდეს, რადგან ხელებით დროული არეკნი მნიშვნელოვნად ცვლის ხტომის უკანასკნელ ფაზას. უკანასკნელი ფაზა — დახტომა ზოგჯერ კარგად შესრულებულ ხტომის შეფასებას საგრძნობლად ცვლის. იმისათვის, რომ დახტომა შეუცდომლად შესრულდეს, საჭიროა ხტომის დასასრულს ფეხები ოდნავ წინ გაიმართოს. დახტომა იწყება ლეიბზე შეხებიდან, რომლის მიზანია მიღწეული სისწრაფის თანდათან შემცირება. რაც შეიძლება უნდა შერბილდეს შეხების მომენტი. შეხების შემდეგ ფეხები ცერებით და შემდეგ მთელი ტერფით ეხება ლეიბს, შემსრულებელს ამ დროს ხელები წინ აქვს, ხოლო მუხლები გაშლილია განზე, ტანმა ვერტიკალური მდგომარეობა უნდა შეინარჩუნოს. სპორტსმენი დახტომის შემდეგ სწრაფად უნდა გაიმართოს, ხელები დაუშვას და ადგილზე დარჩეს. ამ დროს მუხლებიც ერთდება. ხტომის დროს ზედმეტი ჩაბუქნი ან გამართულ ფეხებზე დახტომი, მეტად უხარისხოს ხდის ხტომს. ამ შემთხვევაში აგრეთვე მოსალოდნელია სახსრის იოგებისა და კუნთების დაჭიმულობა, რამაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს შინაგან ორგანოებზე და ნერვულ სისტემაზე.

თ. სანებლიძე,
სპორტის ოსტატი.

ტანვარჯიშსა და ჭადრაკში

ჩატარდა საჩხერის რაიონის მოსწავლეთა შეჯიბრება ტანვარჯიშსა და ჭადრაკში. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ რაიონის რვაწლიანი და საშუალო სკოლის სპორტსმენები.

ტანვარჯიშში პირველობა მოიპოვეს ვაჟებიდან — ბ. ცარციძემ და ზ. ხვედელიძემ (I საშუალო სკოლა). ქალებიდან — ნ. გაფრინდაშვილმა და ა. ზაბახიძემ (I საშუალო სკოლა), ლ. მაჭარაშვილმა და გ. გაფრინდაშვილმა (II საშუალო სკოლა), გამარჯვებულებმა შეასრულეს მესამე თანრიგის ნორმები.

მოჭადრაკე ვაჟთა შორის პირველი-მეორე ადგილები გაინაწილეს გ. თურქაძემ და ი. ქემერტელიძემ (I საშუალო სკოლა), ქალებიდან — მ. მაჭარაშვილმა და ლ. სუხიაშვილმა (II საშუალო სკოლა).

ი. მღებროვი

მაღალ დონეზე ავიყვანოთ ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა

საქართველოს ალკკ თბილისის ორგანიზაციის XXVIII კონფერენციაზე

ორ დღეს მიმდინარეობდა საქართველოს ალკკ თბილისის ორგანიზაციის XXVIII კონფერენცია.

თბილისის კომიტეტის საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა საქალაქო კომიტეტის მდივანი ვ. სირაძე. კამათში მონაწილეობა მიიღო 22-მა კაცმა.

კონფერენციაზე დიდი ყურადღება დაეთმო თბილისში მასობრივი ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის მდგომარეობას. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში ამ მხრივ დიდი მუშაობა ჩატარდა. მოეწყო მრავალი საინტერესო ღონისძიება.

ამასთან ერთად ფიზკულტურულ და სპორტულ მუშაობაში მთელი რიგი ნაკლოვანებებია. ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის იერიშობანა ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა მომზადებაში. კონფერენციის დელეგატებმა საანგარიშო მოხსენებიდან ვერ გაიგეს როგორ მიმდინარეობს მუშაობა ამ მხრივ, ვინაიდან მასში გეგმების შესრულების მონაცემები აღნიშნული არ იყო.

მომხსენებელმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ სპორტულ სექციებში ჩაბმულია კომკავშირელთა მხოლოდ 30 პროცენტი. კომკავშირული აქტივისტებისა და კადრების უმრავლესობა არ მონაწილეობს სპორტულ ღონისძიებებში. კომკავშირის საქალაქო და რაიონული კომიტეტების ფიზკულტურული მუშაობის განყოფილებები არ წარმართავენ სპორტული კოლექტივების საქმიანობას. ისინი მხოლოდ შექმნილი მდგომარეობისა და მომხდარი ფაქტების რეგისტრატორის როლში გამოდიან.

თბილისში მწვავედ იგრძნობა სპორტული ბაზების ნაკლებობა. ხუთი წელია უკვე გრძელდება სპორტსაზოგადოება „ნაუკის" სტადიონის მშენებლობა, რასაც დასასრული არ უჩანს. ფიზკულტურელის პარკი ჯერ კიდევ არ ამართლებს თავის სახელწოდებას.

სპორტსმენებს შორის აღმოფხვრილი არ არის ყოყოჩობა, ამორალური ქცევის გამოვლინება. სპორტსმენმა გ. ბრიტვინამ დაუშვებელი საქციელი ჩაიდინა. ერთ-ერთი შეჯიბრების დამთავრების შემდეგ მან უარი თქვა ჯილდოს მიღებაზე, ვინაიდან, მისი განცხადებით, იგი დაბალი ღირებულებისა იყო.

ორთაჭალჰესის მშენებლობის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ნ. ემუხვარმა ილაპარაკა ახალგაზრდა მშენებელთა შორის სპორტული მუშაობის მაღალ დონეზე. აქ კარგად მუშაობენ სექციები, ეწყობა სხვადასხვა მასობრივი ღონისძიებები. მან საჭიროდ ჩათვალა ახალგაზრდა მუშებისათვის ერთდროული სეანსების ჩატარება ჭადრაკში, ლექციების მოწყობა ჩვენს ქვეყანაში სპორტის განვითარების შესახებ.

საინტერესო იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კომკავშირის კომიტეტის მდივნის გ. შენგელიას გამოსვლა. ჩვენს ახალგაზრდებს, თქვა მან, უყვართ სპორტი, მაგრამ ნაყოფიერ მუშაობაში, სპორტულ ღონისძიებათა ფართო მოწყობაში ხელს გვიშლის სათანადო ბაზების უქონლობა. ამას წინათ კომკავშირის კალინინის რაიონულ კონფერენციაზე მოვითხოვეთ რაიკომისაგან დახმარება ჩვენთვის სავარჯიშო დარბაზის გამონახვაში. თბილისის კომიტეტის მუშაკებმა იქვე განაცხადეს, ეს ადვილი საქმეა, დაგეხმარებითო, მაგრამ, „ეს ადვილი საქმე" ჯერჯერობით ვერ მოგვარდა.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა გ. ცაგარეიშვილმა აღნიშნა, რომ თეატრში შექმნილი იყო და კარგად მუშაობდნენ ცურვის, კალათბურთის, ჭადრაკის შემსწავლელი სექციები, მაგრამ მათ ბოლო ხანებში თავიანთი საქმიანობა თითქმის შეწყვიტეს.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს კ. პ. თბილისის კომიტეტის მდივანი ნ. სტურუა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. გოგიჩაიშვილი.

კონფერენციამ საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის მუშაობა შეაფასა დამაკმაყოფილებლად და მიიღო სათანადო გადაწყვეტილებანი, რომლებშიც გათვალისწინებულია თბილისის კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებები.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კ. პ. ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ჩხიკვაძე.

• • •

გაიმართა საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის პირველი პლენუმი. პლენუმმა აირჩია: საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად ვ. სირაძე, მეორე მდივნად — ნ. რამიშვილი, მდივნად პროპაგანდისა და აგიტაციის დარგში — ვ. კაჭარავა, მდივნად სკოლის დარგში — ს. გამრეკელი.

რეკორდსმენი

— ბორის, დროა, მოემზადე!

მოემზადეო? ბორისი დიდი ხანია მზადაა, ხეირიანად არც უძინია ამ ღამეს. დიდი ხნის სანუკვარი ოცნება აუსრულდა — დღეს მამას სანადიროდ მიჰყავს.

წყნეთისაკენ წავიდნენ კაკაბზე. კაკაბი ეშმაკი ფრინველია — ადვილად როდი მიგიშვებს ახლოს. მაგრამ გამოცდილი მონადირე ივანე ანტონოვი დინჯად და მოხერხებულად მოქმედებდა, ზედიზედ მოჰკლა რამდენიმე. მხოლოდ ბორისს „არ სწყალობდა" ბედი — რამდენიც ისროლა, იმდენი ააცილა. კარგა ხანს ხელმოცარული დადიოდა, მაგრამ ბოლოს გულის წადილი მაინც აისრულა — ჩირგვებიდან ანაზდად გამოხტარ კურდღელს ესროლა. კურდღელი ჰაერში შეტრიალდა და დაეცა.

მას შემდეგ მამა-შვილი ყოველთვის ერთად დადიოდა სანადიროდ და მალე შვილი ისე გაიწაფა, რომ ხშირად სანადირო აბგას ნანადირევით ავსებდა.

ნადირობაში პირველი ნათლობა ბორისს მამამ მიაღებინა. სპორტულ სარბიელზეც მამის მეოხებით გამოვიდა. 1947 წელს ტარდებოდა ქალაქის პირველობა სასტენდო სროლაში, მამის თხოვნით ბორისი შეჯიბრების მონაწილეთა სიაში ჩარიცხეს და მისი პირველივე გამოსვლა წარმატებით დამთავრდა — მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა ერთ-ერთ სახეობაში. ჯილდოდ ყანწი მიიღო.

მას შემდეგ ბორის ანტონოვმა ნამდვილი სასტენდო თოფი შეიძინა და სტენდის ხშირი სტუმარი გახდა. ვარჯიშობდა დაუღალავად, დაუზარებლად. განსაკუთრებით მრგვალ სტენდზე სროლა შეუყვარდა. მოულოდნელად ამოტყორცნილი თეფში ბუჩქებიდან ისარივით მქროლ ფრინველს აგონებდა. მტკიცე ხელით მხართან მიბჯენილ თოფს გააყოლებდა და თეფშები ნამსხვრევებად იქცეოდა...

პირველი ნამდვილი სპორტული წარმატება ბ. ანტონოვმა 1951 წელს მოიპოვა. იგი მრგვალ სტენდზე სროლაში საქართველოს ჩემპიონი გახდა და რესპუბლიკური რეკორდიც დაამყარა.

წარმატებებმა მეტი პასუხისმგებლობა დააკისრა სპორტსმენს. იგი მეტი ენერგიით ვარჯიშობდა და მალე მისი შედეგები უკვე დიდად არ ჩამორჩებოდა საკავშირო მიღწევებს.

...კიევი. აქ საბჭოთა კავშირის უძლიერესი მსროლელები შეიკრიბნენ. აი, სასროლად გამოვიდა თბილისელი სპორტსმენი ბ. ანტონოვი. პროგრამაშია სროლა მრგვალ სტენდზე, 50 თეფში. ბორისს კარგად ახსოვს კიეველი ახლოუსტინის საკავშირო რეკორდი — 48 მოხვედრა 50-დან. მტკიცედ გადაწყვიტა დაემსხვრია ის ორი თეფში, რომელიც ახლოუსტინს სარეკორდო სროლისას „გაუფრინდა".

აფრინდა პირველი თეფში, მეორე. მეოცე, მეორმოცე... ზუსტი თვალი და მტკიცე ხელი შეუცდომლა მოქმედებდნენ, თეფშები ზედიზე იმსხვრეოდა.

... ორმოცდამეშვიდე, ორმოცდა მერვე. ანტონოვმა მძიმედ ამოისუ თქა. ორი თეფში-ღა დარჩა. წამი გაუელვა — ეს ხომ არაა ის ორ თეფში კიეველს რომ გადაურჩა?

არა. ორმოცდამეცხრემაც და ორ მოცდამეათემაც წინამორბედი თეფ შების ბედი გაიზიარეს — ეს იყ ახალი საკავშირო რეკორდი.

შემდეგ კიდევ ორი რეკორდი დ ამყარა ბორისმა. სსრ კავშირის ნა რებმა გუნდმა, რომლის შემადგე ლობაშიც ანტონოვი იყო, მრგვა სტენდზე 300 შესაძლებლიდან 2 თეფში დაამსხვრია და 600 შესა ლებლიდან — 515. ბ. ანტონოვთა ერთად ისროდნენ სპორტის დამს ხურებული ოსტატები ვ. ანტონო ნ. ბურდენკო, სპორტის ოსტატე ი. ნიკანდროვი, ს. კალინინი და თბ ლისელი ზ. მაჩხანელი.

ახალგაზრდა სპორტსმენს მტკიც აქვს გადაწყვეტილი — მიაღწი იმას, რომ მისი არც ერთი ნასროლ არ აცდეს აფრენილ ფრინველს, გ ცეულ ნადირსა და ამოტყორცნ თეფშს.

ბ. ქორქია

მკითხველთა სიგნალები

არა აქვს ინვენტარი

კასპის რაიონის სოფელ დოესის რვაწლიან სკოლაში ბევრი ახალგაზრდაა სპორტით დაინტერესებული. მაგრამ, სამწუხაროდ, აქ ნაკლებად ზრუნავენ მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდაზე. სკოლას არა აქვს ისეთი აუცილებელი სპორტინვენტარიც კი, როგორიცაა ბურთები, ხელყუმბარები, ბადრო, ბირთვი და სხვ.

თ. ჭერუაშვილი

სექციებში მრავალი მოსწავლე გაერთიანდა

გურჯაანის რკინიგზის საშუალო სკოლის სპორტულ დარბაზში ვ. ბეჟარაშვილის ხელმძღვანელობით ნაყოფიერად მუშაობს მძლეოსნობისა და ტანვარჯიშის სექციები. სისტემატურად გამოდის სპორტული კედლის გაზეთი „ნორჩი ფიზკულტურელი", რომელშიც აქტიურად მონაწილეობენ მოწინავე ფიზკულტურელები თ. გორხელაშვილი, ა. დიდებაშვილი, ი. ვარამაშვილი, ო. მამათალაშვილი და სხვ. გაზეთისა და ფიზკულტურის მასწავლებლის კარგი მუშაობის შედეგად სექციებში მრავალი მოსწავლე გაერთიანდა.

ი. ოდიშელიძე

შეაკეთეს სპორტული დარბაზი

ჭიათურის სპორტული დარბაზი მოუწყობელი იყო. ამ მდგომარეობას სათანადო ყურადღება მიექცა და დარბაზის შეკეთებისათვის გამოიყო თანხა. ამჟამად ჭიათურელი სპორტსმენები წვრთნას ახალგარემონტებულ დარბაზში ატარებენ.

ჯ. ბიბინეიშვილი

ბ. ანტონოვი

მსოფლიო პირველობის წინ

1954 წლის 16 მარტს მოსკოვში იწყება მსოფლიო პირველობისათვის ბრძოლა საბჭოთა გროსმაისტერების, მსოფლიო ჩემპიონ მიხეილ ბოტვინიკსა და შვეიცარიის საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებულ ვასილ სმისლოვს შორის.

საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის დადგენილებით პრეტენდენტები გაითამაშებენ 24 პარტიას. მატჩის მოგებისათვის ერთ-ერთმა მხარემ უნდა მოაგროვოს 12,5 ქულა. თუ მატჩი დამთავრდა ყაიმით (12:12) მსოფლიო ჩემპიონი მ. ბოტვინიკი ინარჩუნებს თავის ტიტულს. მ. ბოტვინიკის სეკუნდანტია საერთაშორისო ოსტატი ი. კანი, ვ. სმისლოვისა — საერთაშორისო ოსტატი ვ. სიმაგინი.

მატჩის მსაჯად მოწვეულია საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი, ჩეხოსლოვაკი კარელ ოპოჩენსკი. მატჩს დაესწრება მოჭადრაკეთა საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი დოქტორი როგარდი.

ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონის სახელისათვის გაგრძელდება 11 მაისამდე.

მ. მ. ბოტვინიკი

1936 წელს ნოტინგემში (ინგლისი) საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე თავი მოიყარეს მსოფლიოს უძლიერესმა მოჭადრაკეებმა. აქ იყვნენ მსოფლიოს სამი ყოფილი ჩემპიონი — ე. ლასკერი, ხ. კაპაბლანკა, ა. ალიოხინი, მსოფლიო ჩემპიონი მაქს ეივე, ახალგაზრდა გროსმაისტერები: ს. ფლორი, ამერიკელები რ. ფაინი და ს. რეშევსკი, ფრანგი ს. ტარტაკოვერი და ინგლისის საუკეთესო ოსტატები. კორიფეთა ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად საბჭოთა ქვეყანამ წარგზავნა თავისი ჩემპიონი — პირველი საბჭოთა გროსმაისტერი მიხეილ ბოტვინიკი.

მოსკოვიდან გამგზავრებისას ბოტვინიკს ოსტატმა (ახლა გროსმაისტერი) ვ. რაგოზინმა თხოვა: საჩუქრად პირველი პრიზი ჩამომიტანეო. ეს იყო არა მარტო მეგობრის თხოვნა, არამედ საბჭოთა მოჭადრაკეთა საერთო სურვილი.

დაიწყო ბრძოლა. პირველი ტურიდანვე საბჭოთა გროსმაისტერი შეუპოვრად აგროვებს ქულებს. ყაიმი ლასკერთან, კაპაბლანკასთან, ფლორთან, რეშევსკისთან. მეხუთე ტურში ბოტვინიკი შეხვდა ალიოხინს. ამ შეხვედრის შესახებ ბოტვინიკი წერდა: „თუმცა შევძელი მძიმე პოზიციიდან თავის დაღწევა, მაგრამ ბევრი უსიამოვნება განვიცადე. კრიტიკულ მომენტში, როდესაც თავის დაღწევაზე ვფიქრობდი, 20 წუთი დავკარგე. ალიოხინი ამ ხნის განმავლობაში თავს დამტრიალებდა, როგორც არწივი. დავძაბე მთელი ძალღონე, ავიცილე „ფსიქოლოგიური" დარტყმა და, თავიც დავაღწიე დაგებულ მახეს".

დაუმარცხებლად, ბრწყინვალედ ჩაატარა ბოტვინიკმა ტურნირი და კაპაბლანკასთან ერთად 1-2 ადგილები გაიყო.

ეს გამარჯვება ელვის სისწრაფით მოედო მთელ მსოფლიოს. საბჭოთა მოჭადრაკეები ზეიმობდნენ. ამ წარმატებისათვის საბჭოთა მთავრობამ მიხეილ ბოტვინიკი „საპატიო ნიშნის" ორდენით დააჯილდოვა.

ნოტინგემის შემდეგ ბოტვინიკი ყველამ ერთხმად აღიარა მსოფლიო ჩემპიონობის პირველ კანდიდატად.

ბოტვინიკის ეს დიდი წარმატება როდი იყო შემთხვევითი. მრავალი წლის მუყაითმა, შემოქმედებითმა შრომამ თავისი ნაყოფი გამოიღო. 14 წლის პირველთანრიგოსანი მიშა ბოტვინიკი 1925 წელს ერთდროული თამაშის სეანსში ამარცხებს მსოფლიოს იმდროინდელ ჩემპიონს კაპაბლანკას. 15 წლის მოჭადრაკემ ლენინგრადის ჩემპიონატში ოსტატები აიძულა მეორე ადგილი მისთვის დაეთმოთ. 1927 წელს ბოტვინიკმა პირველად მიიღო მონაწილეობა საბჭოთა კავშირის პირველობის გათამაშებაში. ლენინგრადის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი, ბოტვინიკი 1931 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა. 1933 წელს მან კვლავ გაიმარჯვა საბჭოთა კავშირის პირველობაზე. ამავე წელს იგი მატჩში გამოიწვია ჩეხოსლოვაკელმა გროსმაისტერმა ფლორმა. ყველას აინტერესებდა საბჭოთა ჩემპიონის საერთაშორისო ასპარეზზე პირველი გამოსვლა. ბოტვინიკმა გამოცდა კარგად ჩააბარა. ორთაბრძოლა ყაიმით — 6:6 დამთავრდა. მაშინდელი საზღვარგარეთული პრესა წერდა: „ბოტვინიკს ფლორთან ის უპირატესობა ჰქონდა, რომ მის მხარეზე იყო მთელი სახელმწიფო, რომელსაც გააჩნდა მოჭადრაკეთა რეზერვების უშრეტი წყარო".

1935 წელს გაიმართა მოსკოვის მეორე საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობის მისაღებად ჩამოდიან ე. ლასკერი, ხ. კაპაბლანკა, ს. ფლორი, ა. ლილიენტალი, გ. შტალბერგი. მასში ებმებიან აგრეთვე წამყვანი საბჭოთა ოსტატები. ბოტვინიკმა ჩინებულად ჩაატარა ტურნირი. ფლორთან ერთად 1-2 ადგილები გაინაწილა და გროსმაისტერის წოდება მოიპოვა. მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარმა სერგო ორჯონიკიძემ იგი მსუბუქი ავტომანქანით დაასაჩუქრა.

1937 წელს ალიოხინმა მსოფლიო ჩემპიონის სახელი დაიბრუნა, რომელიც როგორც მაშინ ხუმრობით ამბობდნენ, მან ორი წლით „ათხოვა ეივეს". ყველას აინტერესებდა ბოტვინიკისა და ალიოხინის შეხვედრა, განსაკუთრებით ნოტინგემის ტურნირის შემდეგ.

1938 წელს ამსტერდამში მოეწყო მატჩ-ტურნირი ნოტინგემის ტურნირში გამარჯვებულთა — ბოტვინიკსა, კაპაბლანკას, ალიოხინის, რეშევსკის, ფაინისა და ფლორს შორის. ლასკერის მაგივრად, რომელიც ამ დროს უკვე ღრმა მოხუცი იყო, დაშვებულ იქნა 22 წლის კერესი. ბოტვინიკმა ამ ტურნირში ბრწყინვალედ ჩაატარა მთელი რიგი პარტიები, დაამარცხა ალიოხინი, კაპაბლანკა, ფლორი და ეივესთან პარტიაში დაშვებული უხეში შეცდომის შედეგად მესამე ადგილზე გავიდა.

მდიდარია ბოტვინიკის სპორტული ბიოგრაფია. ის ექვსჯერ იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. ომის შემდეგ ბრწყინვალე შედეგებით დაამთავრა გრონინგენის დიდი საერთაშორისო ტურნირი. სულ ბოტვინიკს 39 დიდ საერთაშორისო და საკავშირო ტურნირში მიუღია მონაწილეობა. აქედან 25-ჯერ პირველი და 5-ჯერ მეორე ადგილი დაიკავა.

გამოჩენილი საბჭოთა გროსმაისტერი ჭადრაკთან ერთად მეცნიერულ მუშაობასაც ეწევა და შეუპოვარი შრომით თვალსაჩინო წარმატებებს აღწევს. მან 1952 წელს ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მოიპოვა.

ბოტვინიკი პირველყოვლისა რუსული საჭადრაკო სკოლის საუკეთესო ტრადიციების განმგრძობი, ნოვატორი და კონსერვატიზმის დაუძინებელი მტერია. მან შეიმუშავა ჭადრაკის შესწავლის მეცნიერული მეთოდები, ანალიზისა და შეჯიბრებისადმი მომზადების ხელოვნება.

თამაშში იგი თავისებურია. გროსმაისტერი პ. კერესი მოგვითხრობს, რომ ის მრავალჯერ გაკვირვებულა ბოტვინიკის აუჩქარებელი, მტკიცე თამაშით. მაშინაც კი, როცა ის მძიმე ცაიტნოტშია „მისი სახის გამომეტყველებით ან ქცევით ვერ გაიგებთ მოსწონს თუ არა მას თავისი მდგომარეობა". ბოტვინიკს ჩვეულებად აქვს თამაშის დროს (პარტია, როგორც წესი, 5 საათს გრძელდება) არ ადგეს მაგიდიდან. თუ კი ბოტვინიკი დგება და სეირნობს — ეს იმის ნიშანია, რომ მოსაგები მდგომარეობა აქვს.

1946 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა ალიოხინი. საჭადრაკო მსოფლიო დარჩა უჩემპიონოდ. მსოფლიოს საჭადრაკო ფედერაციამ გადაწყვიტა უძლიერეს მოჭადრაკეთა მონაწილეობით ჩაეტარებინა მატჩ-ტურნირი და ამ შეჯიბრებაში გამარჯვებულისათვის მიენიჭებინა მსოფლიო ჩემპიონობა.

ეს ტურნირი მოეწყო 1948 წელს. მასში თამაშობდნენ ბოტვინიკი, კერესი, რეშევსკი, ეივე და ახალგაზრდა მოჭადრაკე ვასილ სმისლოვი. ბოტვინიკმა თამაშის მაღალი კლასი გამოავლინა და პირველი ადგილის აღებით მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

ჯერ კიდევ არაა დავიწყებული 1951 წელს გამართული ბოტვინიკისა და ბრონშტეინის ამაღელვებელი მატჩი, რომელშიც ბოტვინიკმა სახელოვნად დაიცვა საპატიო ტიტული.

რამდენიმე თვის შემდეგ მიხეილ ბოტვინიკს კვლავ მოუხდება თავისი სახელის დაცვა პრეტენდენტთა შვეიცარიის ტურნირში გამარჯვებულ ვასილ სმისლოვთან.

თ. გიორგაძე,
ოსტატობის კანდიდატი.

მძლეოსნების სრულწლიური წვრთნა

მაღალი სპორტული შედეგებისა და მძლეოსნური ვარჯიშის სრულყოფილი ტექნიკის დაუფლებისათვის საჭიროა დიდი და გონივრული მუშაობა.

კარგ შედეგს მიაღწევს მხოლოდ ის მძლეოსანი, რომელსაც სპორტული მიღწევების სიმაღლეებისაკენ სწრაფვა დაფუძნებული აქვს ყოველმხრივი ფიზიკური მომზადების ბაზაზე.

მძლეოსნისათვის აუცილებლად საჭირო ძირითადი თვისებები — სახელდობრ ძალა, სისწრაფე, გამძლეობა შერწყმული ნებისყოფის, გამბედაობისა და შეუპოვრობის აღზრდასთან, შეიძინება მხოლოდ განუწყვეტელი წვრთნით.

განუწყვეტელი წვრთნის ხანმოკლე ინტენსიური წვრთნით შეცვლის ცდა არ იძლევა დადებით შედეგს. პირიქით, ხშირად უარყოფით გავლენას ახდენს მოვარჯიშის ჯანმრთელობაზე.

ეს შეიძლება აიხსნას ფიზიოლოგიური თავისებურებებით, რომლებიც არ იძლევიან საშუალებას მომეცადინის ორგანიზმში მოხდეს ის დადებითი ცვლილებები, რომლებიც ხორციელდება მხოლოდ თანდათანობით და ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

დასვენება, რომელსაც მიმართავენ სპორტული სეზონის საწვრთნელი მეცადინეობების შემდეგ, ერთი თვის მანძილზეც კი მძლეოსანს უკარგავს ყველაფერს, რაც მან შეიძინა სისტემატური, შეუპოვარი წვრთნის პროცესში, ამცირებს მძლეოსნის გაწვრთნილობას, აუარესებს მის შრომისუნარიანობას.

სწორედ ამის გამო საწვრთნელი მუშაობა მძლეოსნობაში უნდა ტარდებოდეს მთელი წლის მანძილზე.

მხოლოდ სრულწლიური წვრთნა ქმნის საუკეთესო პირობებს ყოველმხრივი ფიზიკური მომზადებისათვის, ფსიქოფიზიკური და მორალური თვისებების განვითარებისათვის, რაც სრულყოფილი ტექნიკის დაუფლების საშუალებას იძლევა. ასეთი ტექნიკის გარეშე კი შეუძლებელია მაღალი სპორტული შედეგების მიღწევა.

თქმულის საუკეთესო დადასტურებას წარმოადგენენ სპორტის დამსახურებული ოსტატები ნინო დუმბაძე, ელენე გოკიელი და ნადეჟდა დვალიშვილი, რომლებიც ერთი დღითაც კი არ წყვეტენ თავიანთ საწვრთნელ მუშაობას.

მხოლოდ სრულწლიური წვრთნა აძლევს საშუალებას სპორტის ოსტატს, მოკლე მანძილზე ერთ-ერთ საუკეთესო მორბენალს ლევან სანაძეს აჩვენოს თავისი მაღალი შედეგები.

სრულწლიური წვრთნის ციკლი იყოფა სამ პერიოდად:

1. მოსამზადებელი, რომელიც შედგება ორი ნაწილისაგან — ზამთრისა და გაზაფხულის წვრთნისაგან.
2. ძირითადი, რომელიც შედგება ორი ნაწილისაგან — შეჯიბრებისწინა წვრთნისა და შეჯიბრების პერიოდში წვრთნისაგან.
3. გარდამავალი პერიოდი შედგება ორი ნაწილისაგან — შემოდგომის წვრთნისა და აქტიური დასვენებისაგან.

საჭიროა აღინიშნოს, რომ პერიოდებად დაყოფამ არ უნდა გამოიწვიოს მკვეთრი განსხვავება წვრთნის მეთოდიკაში.

მცდარი მოსაზრებაა, მაგალითად, ის, რომ ზამთრის წვრთნა მიმართულია მხოლოდ ყოველმხრივი ფიზიკური მომზადების გაუმჯობესებისაკენ.

გაზაფხულის წვრთნა ავითარებს გამძლეობას, ხოლო ძირითადი წვრთნა ხელს უწყობს ტექნიკის სრულყოფას.

ეს ძირითადი ამოცანები წყდება მთელი წლის განმავლობაში წარმოებული წვრთნით.

ამის მიუხედავად, ჩვენს რესპუბლიკაში სულ სხვა სურათს ვხედავთ. შეჯიბრებით აღსავსე სპორტული სეზონის შემდეგ მძლეოსანი, რომელიც შეჯიბრებისათვის პერიოდულად ატარებდა მომზადებას, ასპარეზობათა დამთავრების შემდეგ წყვეტს წვრთნას და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არარად აქცევს წვრთნის პროცესში მიღწეულ შედეგს.

მხოლოდ ამის არ-გათვალისწინებით შეიძლება აიხსნას ის, რომ ამჟამად ზამთრის პერიოდში ჩვენი სტადიონები და სპორტმოედნები ცარიელია — იქ ვერ ნახავთ მძლეოსნებს.

კარგადაა ცნობილი საქართველოს ბუნებრივი პირობები, რომლებიც მძლეოსნებს საშუალებას აძლევენ თითქმის მთელი წლის მანძილზე ატარონ წვრთნა და შეჯიბრება ღია ცის ქვეშ. სწორედ ამიტომ საწუხაროა, რომ ჩვენი მძლეოსნები არ მუშაობენ სუფთა ჰაერზე. უკეთეს შემთხვევაში ასეთ წვრთნას ატარებს მხოლოდ მძლეოსანთა ვიწრო წრე.

ჩვენი მძლეოსნების უმრავლესობას აუცილებლად საჭიროდ მიაჩნია წვრთნა ჩაატარონ სპორტულ დარბაზებში, რომლებიც, სხვათა შორის, სრულიად არაა მოწყობილი ამ მიზნისათვის.

აღსანიშნავია ისიც, რომ არც ერთ ჩვენს ბაზას არ გააჩნია მძლეოსნის მუშაობისათვის საჭირო აუცილებელი ინვენტარი — დატენილი ბურთები, ქვიშიანი ტომრები, სასტარტო დაზგები, ბლოკები და ა. შ.

მძლეოსნის მიერ დარბაზში ჩატარებული მთელი მუშაობა ატარებს ტანვარჯიშულ სექციაში მეცადინეობის ხასიათს, რაც ხელს არ უწყობს მძლეოსანს მის წინაშე მდგომი სპეციფიკური ამოცანების გადაჭრაში.

პრაქტიკული მონაცემები კი მთელი სისრულით აჩვენებენ, რომ ოდნავადაც არ არის საჭირო მძლეოსანთა მთელი საწვრთნელი მუშაობა ზამთარში წარმოებდეს დარბაზში. საჭიროა არანაკლებ კვირაში ორჯერ (ხუთდღიური საწვრთნელი მუშაობისას) წვრთნა მოეწყოს ღია ცის ქვეშ.

კარგ დარში საწვრთნელი მუშაობა უსათუოდ უნდა ჩატარდეს სუფთა ჰაერზე. ეს განსაკუთრებით რეკომენდებულია საშუალო და გრძელ მანძილზე მორბენლებისათვის.

ა. ტარასევიჩი,
მწვრთნელი მძლეოსნობაში.

ჰასტინგსის ტურნირი

ინგლისში დიდ ინტერესს იწვევს ჰასტინგსის საერთაშორისო ტურნირში საბჭოთა გროსმაისტერების — ბრონშტეინისა და ტოლუშის მონაწილეობა. გაზეთი „ტაიმსი" წერს, რომ საბჭოთა მოჭადრაკეების მონაწილეობა „დიდი მოვლენაა ინგლისის ჭადრაკის ისტორიაში".

პირველ ტურში ბრონშტეინმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ინგლისელ ვეიდთან, ხოლო ტოლუშმა გაიმარჯვა ოლფსონთან (ისლანდია). მეორე ტურში ერთმანეთს შეხვდნენ ბრონშტეინი და ტოლუში. პარტია ყაიმით დამთავრდა.

ახალი წლის პირველ დღეს ბრონშტეინმა მოუგო ოკელის. მოულოდნელი შედეგით დასრულდა ვეიდ-ტოლუშის შეხვედრა. საბჭოთა გროსმაისტერმა მოსაგებ პოზიციაში უხეში შეცდომით წააგო პარტია. მაგრამ შემდეგ დღეს ტოლუშმა გაიმარჯვა ტეშნერთან. ბრონშტეინმა პოზიციურ ბრძოლაში დაამარცხა გროსმაისტერი ტარტაკოვერი (საფრანგეთი).

მეხუთე ტურში ბრონშტეინმა ბრწყინვალე იერიშით 31-ე სვლაზე გაიმარჯვა ინგლისელ ჰორნთან. ტოლუშ-ოკელის პარტია დაუმთავრებელი დარჩა. მეექვსე ტურში ტოლუში შეხვდა ტარტაკოვერს. მოიგო ტოლუშმა. ბრონშტეინ-მატანოვიჩის (იუგოსლავია) პარტია ყაიმით დამთავრდა.

მეშვიდე ტურში დიდი ინტერესი გამოიწვია ტურნირის ლიდერების ბრონშტეინისა და ინგლისელ ალექსანდერის შეხვედრამ. მრავალსაათიანი ბრძოლის შემდეგ პარტია დაუმთავრებელი დარჩა. ბრონშტეინს ლაზიერების ენდშპილში აკლია ორი პაიკი. ტოლუშმა ენერგიული შეტევით 29-ე სვლაზე დაამარცხა ოსტატი ჰორნი. მერვე ტურში ბრონშტეინმა მოუგო ოლფსონს, ხოლო ტოლუშმა მატანოვიჩთან მძიმე ცაიტნოტში უხეში შეცდომის შედეგად წააგო პარტია.

უკანასკნელი ტურის წინ სატურნირო ცხრილში შემდეგი მდგომარეობაა: ბრონშტეინი — 5,5 ქულა (ერთი გადადებული პარტია), ალექსანდერი — 4,5 ქულა (ერთი გადადებული პარტია), ტოლუში, მატანოვიჩი, ტეშნერი და ოკელი — 4,5 ქულა თითოეული.

წერილების კვალდაკვალ

გაზეთ „ლელოს" 9 დეკემბრის ნომერში დაბეჭდილი იყო მამხილებელი წერილი, რომელიც ეხებოდა თელავის რაიონში მშთ ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადების სახელმწიფო გეგმის შეუსრულებლობას.

როგორც საქართველოს კომპარტიის თელავის რაიკომის მდივანი ამხ. ა. უთიაშვილი გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. ამჟამად რაიონში შესრულებულია მშთ ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადების სახელმწიფო გეგმა.

* * *

ჩვენი გაზეთის მკითხველი ქარელის რაიონიდან გვწერდა, რომ „სოფელ არადეთის კოლმეურნეობაში ჩამოყალიბებული არ არის სპორტული სექციები, არა აქვთ სპორტული ბაზები, სპორტული ინვენტარი".

საქართველოს ალკკ ქარელის რაიკომის მდივანი ამხ. გ. ჯაბაური გვატყობინებს, რომ კორესპონდენციაში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. აღნიშნული საკითხი განიხილა საქართველოს ალკკ ქარელის რაიკომის ბიურომ და მდგომარეობის გამოსასწორებლად დასახა სათანადო ღონისძიებანი.

გიგანტური სლალომის ტრასაზე

... წინა დღეს საბჭოთა კავშირის მოთხილამურეთა ნაკრები გუნდის უფროსმა მწვრთნელმა დ. როსტოვცევმა კოხტა გორას სამხრეთ ფერდობზე შეარჩია და გაიყვანა ტრასა ვაჟთა გიგანტური სლალომისათვის. „გიგანტი" სლალომის, როგორც მას მოთხილამურეები ეძახიან, თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ კარები ჩვეულებრივ სლალომთან შედარებით, აქ გაცილებით ნაკლებია. სამაგიეროდ ტრასა უფრო გრძელია და ფართო.

... კონტროლიორებმა დაიკავეს ადგილები. ფინიშიდან კოხტაგორის მწვერვალზე გაიგზავნა ტელეფონოგრამა ტრასის მზადყოფნის შესახებ. პირველი ნომერი—„შრომითი რეზერვების" წარმომადგენელი ნ. სპირიდონოვი დაეშვა დისტანციაზე. დაიწყო შეჯიბრება. გიგანტურ სლალომში მოთხილამურეს მხოლოდ ერთი ცდა ეძლევა. ასეთ რთულ ტრასაზე ერთი ცდა სპორტსმენისაგან ყურადღების მაქსიმალურ დაძაბვას მოითხოვს — საკმარისია ოდნავი გაუფრთხილებლობა და ძვირფასი წამები დაიკარგება.

— სტარტზეა მეექვსე ნომერი! მოისმა ფინიშის ხაზიდან. მაყურებლებმა სპორტსმენის გვარი ვერ გაარჩიეს, მაგრამ იციან — მეექვსე ნომერი ს. შუსტოვია, რომელმაც ორი დღის წინათ დაამარცხა სლალომის ვირტუოზი ა. ფილატოვი. უძლიერესთა ასპარეზობაში ტრადიციაა: 10 საუკეთესო სტარტს იღებს №6-დან № 15-მდე.

საბჭოთა არმიის წარმომადგენელი, სპორტის ოსტატი ს. შუსტოვი ელვის სისწრაფით დაეშვა ფერდობის შუაგულზე. აქ თხილამურებმა სვლა თითქოს ოდნავ შეანელეს. ტრასის ყველაზე რთული მონაკვეთის გავლა არც ისე ადვილია მაქსიმალურ სისწრაფეზე. სპორტსმენი მიუახლოვდა ფინიშს, დასაძლევი იყო ხელოვნური პატარა ტრამპლინი. შუსტოვი დიდი სისწრაფით შემოვიდა ბორცვზე და ძლიერი არეკნით რამდენიმე მეტრი ჰაერში იფრინა... ფინიში! შუსტოვის დროა — 1:36,5.

მაქსიმალური სისწრაფით გაიარა ტრასის ყველაზე რთული შუანაწილი სპორტის ოსტატმა ვ. მელნიკოვმა (საბჭოთა არმია). ბევრს ეგონა, რომ შუსტოვის შედეგი გაუმჯობესდებოდა, მაგრამ წამმზომებმა აღნიშნეს დრო — 1:37,0. თურმე მელნიკოვს წაუგია სტარტზე. ტრასა გაიარეს სპორტის ოსტატებმა მ. შამინმა („დინამო"), გ. ჩერტიშჩევმა, პირველთანრიგოსნებმა ვ. ტალიანოვმა (ორივე საბჭოთა არმია), ვ. ტურუნინმა („ხიმიკი"), ლ. ვოლკოვმა („სპარტაკი"), მაგრამ შუსტოვის შედეგს ვერავინ აჯობა.

სტარტზეა 1952 წლის ჩემპიონი სლალომსა და სწრაფდაშვებაში დინამოელი ა. ფილატოვი. მაყურებლებიც და მონაწილეებიც არაჩვეულებრივი ინტერესით ადევნებენ თვალს სამთო-სათხილამურო სპორტის ამ უბადლო ოსტატის გამოსვლას. ფილატოვმა დისტანცია ჩვეული ოსტატობით გაიარა, მაგრამ შუსტოვის შედეგის გაუმჯობესება მაინც ვერ შეძლო. გამარჯვებულს იგი 0,2 წამით ჩამორჩა. ფილატოვის დროა 1:36,7.

უძლიერესთა ასპარეზობის პროგრამის უკანასკნელი ნომერი ქალთა გიგანტური სლალომი იყო. საღამოს ბაკურიანში დიდი თოვლი მოვიდა. მიუხედავად ამისა, შეჯიბრების დაწყების წინ ტრასა მზად იყო. ქალთა დისტანციის სიგრძე იგივე იყო რაც ვაჟებისა, მხოლოდ ნაკლებ რთული.

ბრწყინვალედ გაიარა მანძილი სპარტაკელმა ვ. სობოლევამ — 2:03,5. ამ შედეგის გაუმჯობესება ვერ შეძლო ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთმა უძლიერესმა სლალომისტმა ა. ვასილიევამ („ხიმიკი")—2:41,8. დიდი სისწრაფით შემოვიდა საფინიშო ზონაში სპორტის ოსტატი ა. ბასალოვა. მაგრამ იგი თოვლში იყო ამოსვრილი — ჩანს, სადღაც ზევით დაეცა. ამან კი მის ტექნიკურ შედეგზე გავლენა იქონია — 2:35,4. მაყურებელი ტაშისცემით შეხვდა საბჭოთა კავშირის არაერთგზის ჩემპიონის დინამოელ ე. სიდოროვას გამოჩენას. იგი არაჩვეულებრივი სიმსუბუქით სძლევდა დაბრკოლებებს და როდესაც მან მთელი სისწრაფით გადაკვეთა ფინიშის ხაზი, ეჭვს გარეშე იყო, რომ სობოლევას შედეგი გაუმჯობესდა. ეს ასეც მოხდა: სიდოროვამ მანძილი დაფარა 1:56,2. „ბედმა უმტყუნა" შარშანდელ ჩემპიონს გიგანტურ სლალომში მ. ბულატოვას. ფინიშის ხაზამდე სამი-ოთხი მეტრიღა იყო დარჩენილი, როდესაც სპორტსმენი დაეცა. ბულატოვამ აჩვენა — 2:16,5. ამრიგად, გიგანტურ სლალომში პირველი ადგილი დაიკავა სიდოროვამ. მეორე ადგილზეა სობოლევა, მესამეზე — ბულატოვა.

ნ. ქარქუსაშვილი
ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.

ახალი საკავშირო რეკორდი

მოსკოვის სახელმწიფო ცირკში ჩატარდა მოჭიდავეთა, მოკრივეთა და ძალოსანთა საჩვენებელი საღამო.

წარმატებას მიაღწია მჩატე წონის ძალოსანმა ბ. ფარხუტდინოვმა. მან ორი ხელით აჰიმა 100 კგ. ეს საბჭოთა კავშირის ახალი რეკორდია. (ძველი უდრიდა 99 კგ. 400 გრ).

უკრაინის კოლმეურნე სპორტსმენებიდან სპორტის ოსტატის წოდება პირველმა მოიპოვა ვოლინსკის ოლქის, ლუბეშოვსკის რაიონის ფიზკულტურელმა ა. ხვესიკმა. სისტემატურად მეცადინეობდა რა ძალოსნობის სექციაში ხვესიკი კარგად დაეუფლა სპორტის ამ სახეობას და ოთხჯერ მოიპოვა უძლიერესი სპორტსმენის სახელი სოფლის ძალოსანთა საკავშირო კონკურსში. ხვესიკი თავისი წარმატებებით როდი დაკმაყოფილდა. გახდა რა სპორტის ოსტატი, მან მშობლიურ სოფელში ჩამოაყალიბა ძალოსნობის სექცია, რომელშიც ბევრი ახალგაზრდა გაერთიანდა. ამას წინათ ჩატარებულ რესპუბლიკურ შეჯიბრებაში ხვესიკის გუნდმა საპრიზო ადგილი მოიპოვა. უკრაინაში ამ გუნდს „ხვესიკის სკოლას" უწოდებენ.

სურათზე: სპორტის ოსტატი ა. ხვესიკი სიმძიმის აწევის ტექნიკას ასწავლის მეორეთანრიგოსან კოლმეურნე მიხეილ ჩერნიკოვს.

ფოტო ნ. პირკოვსკისა

სპორტის ახალი ოსტატები

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ფიზკულტურისა და სპორტის მთავარი სამმართველოს გადაწყვეტილებით სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭათ ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებს, საზოგადოება „ნაუკის" კალათბურთელებს — დ. გრიგორაშვილსა და და ნ. ებანოიძეს. სასტენდო სროლაში სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭათ სსრ კავშირის რეკორდსმენს ზ. მაჩხანელს (მცხეთა, მონკავშირი) და შ. ჩახნაშვილს (თბილისი, „მედიკი").

ლექცია

ლანჩხუთის ვაჟთა საშუალო სკოლაში I თანრიგოსანმა მოჭადრაკემ ს. გუგუნავამ მოსწავლეთათვის წაიკითხა ლექცია თემაზე: „საბჭოთა მოჭადრაკეები უძლიერესნი არიან მსოფლიოში".

ლექციის შემდეგ ჩაატარა ერთდროული თამაშის სეანსი თერთმეტ დაფაზე.

გ. იმნაძე

სპორტული ქრონიკა

ფოთის ჰიდრო-მელიორაციულ ტექნიკუმში დამთავრდა ფრენბურთელთა შეჯიბრება. პირველი ადგილი დაისაკუთრეს III კურსის სტუდენტებმა.

ხ. ჭანტურია

• • •

აბაშის სპორტდარბაზში ჩატარდა მოსწავლე კალათბურთელთა პირველობა. გამარჯვება მოიპოვა ვაჟთა საშუალო სკოლის მეორე გუნდმა. კარგი თამაშით გამოირჩეოდნენ ლ. და ი. კაჭარავები, ვ. ჭანტურია და სხვები.

შეჯიბრება ორგანიზებულად ჩატარდა.

ლ. კაჭარავა

* * *

ბათუმში ჩატარდა პირველობა ფარიკაობაში. მონაწილეობდა 32 სპორტსმენი.

ესპადრონით ბრძოლაში ქალაქის ჩემპიონი გახდა ნ. კოტლიაროვი, რაპირაში — ე. სურმანიძე.

რ. ბოლქვაძე

მეგობრების შეხვედრა

ამას წინათ თბილისის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში მოეწყო თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის საჭადრაკო სექციისა (ხელმძღვანელი ოსტატობის კანდიდატი ვ. ქარსელაძე) და აზერბაიჯანის ნორჩ მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდების შეხვედრა. თვითეულ გუნდში თამაშობდა 10 ვაჟი და 5 გოგონა.

აღსანიშნავია, რომ გასულ წელს მოსწავლეთა საკავშირო გუნდურ პირველობაზე საქართველოს გუნდმა დაამარცხა (6:4) აზერბაიჯანის მოსწავლეთა გუნდი.

საინტერესო ბრძოლით აღინიშნა ორი მოძმე რესპუბლიკის ნორჩ მოჭადრაკეთა შეხვედრა. თბილისელებმა მატჩი შესანიშნავად ჩაატარეს, გამოამჟღავნეს ჭადრაკის თამაშის ტაქტიკისა და თეორიის კარგი ცოდნა და მატჩი კვლავ მოიგეს.

ჩინებულად ჩაატარეს თავიანთი პარტიები ი. ჩიქოვანმა, გ. კალატოზიშვილმა, დ. ჯანოევმა, ლია აბულაძემ, 13 წლის მარინე სტატნიკოვამ და სხვებმა.

გულწრფელი აღიარება

◆

საბერძნეთში გახრწნისა და დეგრადაციის გზაზეა სპორტი

◆

თუ როგორაა განვითარებული ფიზკულტურა და სპორტი საბერძნეთში შეიძლება ვიმსჯელოთ შემდეგი ფაქტით. საბერძნეთის ერთ-ერთ პროვინციულ ქალაქში დედეაგაჩში ჩატარდა სრულიად საბერძნეთის ტრადიციული სპორტული თამაშები. მაგრამ ამ ქალაქში არ აღმოჩნდა არც ერთი სპორტული ნაგებობა, რომლის გამოყენება შეიძლებოდა ასეთი მასშტაბის შეჯიბრებისათვის. აქ არ იყო ფეხბურთის ნორმალური მოედანიც კი, ამიტომ მატჩები ტარდებოდა ნახევრადდანგრეულ სტადიონზე, მტვრიან და ქვიან მოედანზე.

დედეაგაჩის თამაშების შემდეგ 51 სპორტული ორგანიზაციის ხელმძღვანელები მიწვეულ იქნენ საგანგებო თათბირზე, სადაც განხილულ იქნა საბერძნეთში სპორტის მდგომარეობის საკითხი. თათბირის მონაწილეებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ სპორტი საბერძნეთში დაქვეითებისა და დეგრადაციის გზაზეა დამდგარი, რომ მთავრობა სრულიადაც არ ზრუნავს მის განვითარებაზე. თათბირმა აცნობა პრემიერ-მინისტრსა და განათლების მინისტრს, რომ თუ სახელმწიფო მხარს არ დაუჭერს სპორტული მოძრაობის განვითარებას და ფინანსურ დახმარებას არ გაუწევს კლუბებს, იგი საბოლოოდ ჩაკვდება.

მართლაც, მონარქოფაშისტური საბერძნეთის მთავრობა არა თუ არ ზრუნავს სპორტის განვითარებაზე, არამედ, პირიქით, დიდი გადასახადით ბეგრავს მას. ცალკეული მეცენატების დახმარება კი, რა თქმა უნდა, მასობრივ განვითარებას ვერ შეჰქმნის. ამ მდგომარეობას არ მალავენ მონარქოფაშისტური გაზეთებიც კი.

„ჩვენი ქვეყანა, — წერს „ეტნიკოს კირიკსი", — სპორტში იმდენად ჩამორჩა, რომ ყველა საერთაშორისო შეხვედრაში ბოლო ადგილს იკავებს. სპორტის კლასიკური სახეობა — მძლეოსნობა, რომელშიც საბერძნეთს ომამდე პირველი ადგილი ეკავა ბალკანეთში, ახლა თითქმის აღარ არსებობს".

ომისწინა წლებში საბერძნეთში 600 სპორტული კლუბი იყო 50 ათასი წევრით. ახლა კლუბების რიცხვი განუზომლად შემცირდა და მათი წევრების რაოდენობაც 12 ათასს არ აღემატება, კატასტროფულად შემცირდა სპორტნაგებობათა რიცხვიც. მხოლოდ ათენში, პირეისა და სოლუნში არის კერძო მესაკუთრეთა რამდენიმე სტადიონი. პერიფერიებში, პატარა ქალაქებში არაა რამდენადმე მაინც კეთილმოწყობილი სპორტული ბაზა.

ბერძნული სპორტი კაპიტალისტური სპორტის პირწავარდნილი ასლია. იგი ამ ქვეყანაში პროფესიონალიზმის გზით მიდის და მის მთავარ საფუძველს სპორტსმენთა ყიდვა-გაყიდვა წარმოადგენს. ცენტრალური კლუბები მხოლოდ იმით არსებობენ, რომ პროვინციულ კლუბებში ყიდულობენ ნიჭიერ სპორტსმენებს, მცირე ხნით და მერე ერთმანეთს შორის აჩაღებენ სპეკულანტურ ვაჭრობას. მოგებული ფულით მხოლოდ კლუბის მმართველები მდიდრდებიან, სპორტსმენებს კი არაფერი არ რჩებათ. „ოლიმპიაკოს" კლუბმა იყიდა ფეხბურთელი ლინოქსილაქსისი. ამ ფეხბურთელის მეოხებით კლუბი მილიონობით მოგებას იღებს. ლინოქსილაქსისი კი ბარაკში ცხოვრობს და მის მშობლებს ხშირად ლუკმაპური ენატრება.

საბერძნეთს თითქმის სრულიად არ გააჩნია ახალგაზრდა სპორტსმენთა კადრები. მძლეოსნობაში საბერძნეთის პირველობაზე ერთ-ერთ დისტანციაზე რბენაში გამარჯვებული გამოვიდა... 48 წლის ბამვაკისი. რა თქმა უნდა, მისი შედეგი საშუალოზე გაცილებით დაბალია. ბამვაკისს გაცილებით უკეთესი მაჩვენებელი ჰქონდა 30 წლის წინათ.

საბერძნეთის სპორტის მდგომარეობაზე ყველაზე ნათლად ღაღადებს ის ფაქტი, რომ ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებში საბერძნეთმა დაიკავა ბოლო ადგილი. მის „აქტივში" იყო... 0,5 ქულა.

საბერძნეთში მტკიცედ იკიდებს ფეხს ამერიკული სპორტის ჩვევები. ფეხბურთის მატჩები ხშირად ჩხუბითა და ცემა-ტყეპით მთავრდება. საბერძნეთის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის შეხვედრა თურქეთთან იმდენად „კეთილმეზობლურად" მიმდინარეობდა, რომ დიპლომატიური სკანდალიც კი გამოიწვია.

გაზეთი „ავგი" წერს: „გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ჩვენს ქვეყანაში ფეხბურთის ყოველი მატჩი ჰგავს დაცემის ეპოქის რომაული ცირკის სარბიელს".

გულწრფელი აღიარებაა!

ბერძენი მონარქოფაშისტები ყოველნაირად ცდილობენ საბოლოოდ დათრგუნონ, მტაცებლურ კლანჭებში მოაქციონ სპორტი, დაუმორჩილონ იგი სამხედრო ინტერესებს. მაგრამ ამ ქვეყნის დემოკრატიული ძალები და მოწინავე ახალგაზრდობა სულ უფრო და უფრო თამამად გამოდის ამერიკული მოძალადეების წინააღმდეგ, უფრო გაბედულად იბრძვის მასობრივი სპორტის აღმავლობისათვის. ამ ბრძოლაში მის მხარეზე არიან — მსოფლიოს პროგრესული სპორტსმენები.

რედაქტორი ი. უგულავა

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო". ტელეფონები:
რედაქტორისა — 3-89-62, პ/მგ მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-38-25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი". თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 00606